გზა ეროვნულიდან სოციალისტურამდე: საბჭოთა ნაციონალური და უმცირესობათა პოლიტიკა კავკასიაში

კრისტა გოფის წიგნის „ჩაბუდებული ნაციონალიზმი: ეროვნებების წარმოება და წაშლა საბჭოთა კავკასიაში“ რეცენზია

ავტორი: თამარ ქებურია

„ამიერკავკასიაში ძირითადი საკითხი – ესაა
ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი“
იოსებ სტალინი, თხზულებანი, ტ. 5

1923 წელს, კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე სტალინმა სიტყვით გამოსვლისას ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა დააყენა, რომელიც რეგიონში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტების და ნაციონალურ ერთობებს შორის დაპირისპირებების გადაჭრის გზა უნდა გამხდარიყო. ამიერკავკასიის ფედერაცია გახდებოდა „ნაციონალური მშვიდობის ორგანო“, რომელიც საბოლოოდ გადაჭრიდა ყარაბაღის, ზანგეზურის, ახალქალაქის, ზაქათალის თუ სხვა კონფლიქტებს. „მშვიდობის შენების“ ამ გაცხადებულმა პოლიტიკამ, რომელიც ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა, სრულებით გარდაქმნა სამხრეთ კავკასიის დემოგრაფია, ხელახლა გაავლო რეგიონის საზღვრები და შეცვალა ძალაუფლებრივი გადანაწილება ეთნიკურ ჯგუფებს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამოხეთქილი ეთნიკური და რეგიონალური კონფლიქტები, სამოქალაქო და სასაზღვრო ომები რეგიონის ისტორიის გარდაუვალ გაგრძელებად იქცა სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, საქართველოსთვის, დაღესტნისთვის და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. ეთნიკური შუღლი ათწლეულების განმავლობაში გროვდებოდა და მისი მთავარი წყარო რესპუბლიკების დონეზე წახალისებული ნაციონალურ-შოვინისტური სენტიმენტები იყო, რომელიც დღემდე ხელს უშლის კავკასიაში მშვიდობის დამყარებას.

კრისტა გოფის წიგნი „ჩაბუდებული ნაციონალიზმი: ეროვნებების წარმოება და წაშლა საბჭოთა კავკასიაში“ სხვადასხვა ნაციონალობის წმენდის, ასიმილაციის თუ ფორსირებული კონსოლიდაციის საბჭოთა ისტორიაზე ჰყვება, რომელსაც ავტორი საარქივო მასალების, ზეპირი ისტორიებისა და ისტორიოგრაფიული ნაშრომების ანალიზზე დაყრდნობით აღადგენს. თუ აქამდე აკადემიური ნაშრომები ინგილო ქართველებზე, ლეკებზე, თალიშებზე, აზერბაიჯანში მცხოვრებ ქურთებსა და თათრებზე გაბნეული და ფრაგმენტიზებული იყო სხვადასხვა წყაროში, კრისტა გოფის წიგნი ამ ყველაფერს თავს უყრის და მის სისტემატიზებულ წაკითხვას გვთავაზობს. წიგნი გეოპოლიტიკური მოვლენების შუქ-ჩრდილზე ქრონოლოგიურად აღადგენს საბჭოთა ტიტულარულ ნაციონალობათა და არატიტულარულ უმცირესობათა იმ ისტორიულ ტრაექტორიებს, რომელიც ხშირად მიჩქმალული ან დავიწყებულია. გოფის მიერ მოხმობილი ისტორიები არა მხოლოდ წარსულზე გვიამბობს, არამედ დღევანდელობის უკეთ გაგებაშიც გვეხმარება.

რა უძღოდა წინ აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექმნას და როგორ ხდებოდა მისი ფორმირება წლების განმავლობაში? როგორ გარდაიქმნა მრავალეთნიკური საქართველო

რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე ჰომოგენურ რესპუბლიკად? რა პოლიტიკური მოტივით და პრაქტიკებით ღვივდებოდა ეროვნულ-შოვინისტური სენტიმენტები სამხრეთ კავკასიაში? ამ საკითხებთან ერთად, წიგნი კითხვას უსვამს თავად მოდერნულობისთვის დამახასიათებელი ეთნიკური და ნაციონალური იდენტობების პოლიტიკურ პროექტსაც, რომელიც არა მხოლოდ სახელმწიფოებს ყოფს „დაწინაურებულ" და „ჩამორჩენილ" ქვეყნებად, არამედ თავად ამ დაყოფისა და სეგრეგირების პრაქტიკებს „აბუდებს" სხვადასხვა დონეზე იმპერიიდან რესპუბლიკებამდე, რესპუბლიკებიდან ნაციონალურ ჯგუფებში, და უფრო ქვემოთაც.

წიგნის მიზანია შეისწავლოს ადრეული საბჭოთა კავშირიდან 1980-იან წლებამდე წარმოებული საბჭოთა ეროვნულ-ნაციონალისტური პოლიტიკა აზერბაიჯანსა და მის მეზობელ რესპუბლიკებში. იგი პირველ რიგში მათთვისაა, ვისაც სურს უკეთ გაერკვეს საბჭოთა კავშირში მცხოვრებ იმ ეთნიკურ უმცირესობათა გამოცდილებებში, რომლებიც კავკასიის რეგიონში ცხოვრობდნენ. ამასთან, წიგნი უღრმავდება კავკასიაში წარმოებულ ნაციონალურ პოლიტიკას, ეთნიკური კონფლიქტების მიზეზებსა და სახელმწიფო სტრუქტურების ძალაუფლებრივ განშტოებებს, რომელიც კომუნიზმის გამარჯვების სახელით ეწეოდა კორენიზაციის, მასობრივი გადასახლებების, უმცირესობათა ასიმილაციის და სხვა სახის პოლიტიკებს.

ადრეულ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ეროვნულობათა წარმოება და წაშლა

ადრეული საბჭოთა პერიოდის ნაციონალური პოლიტიკის და მისი ისტორიული საფუძვლების უკეთ გასაგებად, კრისტა გოფი ტიტულარული სახელმწიფოებისა და არატიტულარული ეთნიკური ჯგუფების ცნებებს ეყრდნობა, რითაც აფართოებს საბჭოთა კავშირის გაგების იმ სააზროვნო ჩარჩოებს, რომელიც რუსეთს იმპერიულ ცენტრად მონიშნავს, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებს – მის პერიფერიად. ამ დაყოფის სანაცვლოდ, ავტორი ყურადღებას რესპუბლიკების დონეზე წარმოებულ ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკაზე ამახვილებს, რათა უკეთ მოიხელთოს თავად ამ რესპუბლიკების შიგნით „ჩაბუდებული" ნაციონალური დინამიკა. ტიტულარულ ეროვნებებად, საბჭოთა კავშირში, იმ 15 რესპუბლიკის შემადგენელი ეროვნებათა ერთობა მოინიშნებოდა, რომელთა შესაბამის ქვეყნებსაც საყოველთაოდ აღიარებული ტერიტორიული საზღვრები, ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა, საერთო კულტურულ-ეთნოგრაფიული ნიშნები და ერთგვაროვანი მახასიათებლები გააჩნდათ. მათ შორის იყვნენ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა საბჭოთა ერები. არატიტულარული ნაციონალური ჯგუფები კი, გოფის განმარტებით, ყველა იმ ეთნიკურ ჯგუფსა თუ ხალხს მოიაზრებდა, რომლებსაც საკუთარი ნაციონალობის შესაბამისი რესპუბლიკური ერთეული არ გააჩნდათ (მაგალითად, ქურთებს, თალიშებს, თათრებს) და, ასევე, სხვა ქვეყნის დიასპორულ ჯგუფსაც არ წარმოადგენდნენ.[1]

წიგნის პირველი თავი აზერბაიჯანის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ პროცესებს მიმოიხილავს, რომლის ფორმირება საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის კვალდაკვალ მიმდინარეობდა. ამ თავებში ხშირად ჩნდება ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, და ის გეოპოლიტიკური ფონი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა XX საუკუნის საბჭოთა პოლიტიკაზე.

---

[1] Krista A. Goff, *Nested Nationalism: Making and Unmaking Nations in the Soviet Caucasus* (Cornell University Press, 2021), 3

როგორც ერთა ფორმირების ისტორიიდან არის ცნობილი, სახელმწიფოთა ჩამოყალიბებასა და კონსოლიდაციაში დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის საყოველთაო აღწერები და სტატისტიკური მონაცემები ხალხთა დემოგრაფიულ, სოციალურ, ეთნიკურ მახასიათებლებზე, რაც შემდგომ ამ ხალხის კლასიფიცირების და მათი სახელმწიფოებრივ პროცესებში ჩართვის წინაპირობა ხდება.[2] გოფის წიგნის მთავარი სათქმელიც სწორედ ამ მართვის მექანიზმის მოხელთებას და მისი საბჭოური სპეციფიკის გაგებას ეთმობა. მას წიგნში არაერთ ადგილას მოჰყავს სხვადასხვა დროს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერები და ამ მხრივ განხორციელებულ ცვლილებებს აანალიზებს. როგორც ის წერს, „საყოველთაო აღწერას განმსაზღვრელი ძალა ჰქონდა და საბჭოთა კავშირში ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა უმცირესობათა ასიმილაციის შესახებ წარმოებული დისკურსების ნორმალიზებაში. პრაქტიკული თვალსაზრისით, ადამიანთა კატეგორიზებაზე უარის თქმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აღწერებში მოხვედრა, თავის მხრივ, გადაჯაჭვული იყო სახელმწიფო უფლებების აღსრულებასა და მის აღიარებასთან“.[3]

1926 წლის საყოველთაო აღწერაში საბჭოთა კავშირში სულ 172 სხვადასხვა ეთნოსი – იგივე ნაროდნოსტები (narodnosti) ფიქსირდებოდა,[4] 1939 წლისთვის კი მათი რაოდენობა 62-მდე შემცირდა. როგორც გოფი განმარტავს – „საბჭოთა მრავალფეროვნების მსგავსი რადიკალური შეკვეცა მკაცრ ხელს მოითხოვდა“, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკურ ჩარევებსაც საჭიროებდა – მათ შორის ისეთ მკაცრ გადაწყვეტილებებს, როგორიც იყო მასობრივი გადასახლებები, უმცირესობათა წარმომადგენელი სამეცნიერო-კულტურული ელიტის რეპრესირება, დამწერლობაში, სამეტყველო ენასა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა და ა.შ.

საყოველთაო აღწერების მონაცემთა მანიპულაციის მაგალითია ისიც, თუ როგორ გახდნენ 1926 წლის აღწერაში ეთნოსებად კატეგორიზებული ხალხი, 1939 წლისთვის არასათანადოდ განვითარებულნი იმისთვის, რომ ცალკე ეთნიკური ჯგუფის ტიტული მოეპოვებინათ, და, ამდენად, აღწერის მონაცემებში ისინი სხვა ძირითადი ნაციონალური ჯგუფების კატეგორიის ქვეშ მოექცნენ.[5] ამ გადაწყვეტილების უკან საბჭოთა იდეა იდგა, რომ ნაცმენების (იგივე ნაციონალური უმცირესობების – национальные меньшинства) სიმრავლე წინააღმდეგობაში მოდიოდა სოციალისტური პროგრესისა და განვითარების ძირეულ მიზნებთან და, შესაბამისად, ეთნოსების კლება კომუნიზმის მოახლოებას მიანიშნებდა.

ეთნოსების გაქრობა, თავის მხრივ, ტიტულარული რესპუბლიკების გაძლიერებას ემსახურებოდა, რაც კარგად ჩანს აზერბაიჯანის სახელმწიფოს ფორმირების მაგალითზე - 1930-იანი წლების აღწერების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობის 40% სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებისგან შედგებოდა და ისინი თავს აზერბაიჯანის მკვიდრ მოსახლეობად არ მოიაზრებდნენ. ამ საკითხის პრობლემურობა, როგორც აზერბაიჯანის განვითარებისთვის საფრთხის მომტანის, მალევე წამოიჭრა საბჭოთა კავშირის დონეზე. 1931 წელს თბილისში წარმოდგენილ ზაკრაიკომში (ამიერკავკასიის რეგიონალურ კომიტეტში) შესული მემორანდუმი, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ნაცმენების გადაჭარბებულ სიმრავლეზე აკეთებდა აქცენტს, კრიტიკული ხასიათის იყო და სახელმწიფო მმართველობის თუ უმცირესობათა პოლიტიკის ჩავარდნაზე მიუთითებდა. მემორანდუმში საუბარი იყო იმაზე, რომ სათანადოდ არ ხდებოდა იმ რეგიონების აღნუსხვა,

---

[2] James C. Scott, *Seeing like a State: How Certain Schemes to Improve the Human Condition Have Failed*, 0th Edition (New Haven, Conn.: Yale University Press, 1999).

[3] Goff, *Nested Nationalism*, 144.

[4] *კრისტა გოფის თანახმად, ნაროდნოსტი გულისხმობს ხალხების იმ ჯგუფს, რომლებსაც ერთგვაროვანი ნაციონალური მახასიათებელი გააჩნდათ, თუმცა მათი განვითარების არსებული ფაზა ვერ აკმაყოფილებდა ამ ხალხის ცალკეულ ერად ჩამოყალიბების წინაპირობებს*

[5] Goff, *Nested Nationalism*, 46.

სადაც სხვადასხვა ეთნოსები სჭარბობდა მკვიდრ მოსახლეობას, არ იყო უზრუნველყოფილი უმცირესობათა ადმინისტრაციული კონტროლი და ეს ხალხები არ მონაწილეობდნენ საყოველთაო კოლექტივიზაციის პროცესში.[6] ამ პერიოდისთვის აზერბაიჯანში სულ 16 სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფი აღირიცხებოდა, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფოდა – პირველ ჯგუფში ერთიანდებოდნენ ქართველები, სომხები, ბერძნები, გერმანელები – ისინი, ვინც ტიტულარული რესპუბლიკების ეროვნებებს მიეკუთვნებოდნენ; მეორე ჯგუფში შედიოდნენ თალიშები, ლეკები, უზბეკები, ქურთები – რომლებსაც მყარი კულტურულ-ლინგვისტური თუ სალიტერატურო-ისტორიული მემკვიდრეობის მიუხედავად, პრობლემები ექმნებოდათ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის მხრივ, ამიტომ მათი ყოველდღიურობა და სოციო-ეკონომიკური ყოფა არაფორმალურ კავშირებზე იყო დაფუძნებული; ხოლო მესამე და ყველაზე სუსტ უმცირესობათა ჯგუფებად მოინიშნებოდნენ ისეთი „მცირე ხალხები“ (мелкие народности), რომელთა ინტეგრირება საბჭოთა აზერბაიჯანში გამოწვევა იყო, რადგან ისინი არ ფლობდნენ აზერბაიჯანულ თუ რუსულ ენებს და, შესაბამისად, მათი მართვის და ადმინისტრირების სამთავრობო მექანიზმები სუსტი და არაეფექტიანი იყო.

მირ ჯაფარ ბაგიროვი (ცენტრში), ლავრენტი ბერია (მარჯვნივ), ფოტო წიგნიდან

როგორც გოფი აღნიშნავს, 1931 წლის მემორანდუმი, საყოველთაო აღწერის მონაცემებთან და პოლიტიკურ ინტერესებთან ერთად, გახდა ამიერკავკასიაში ახალი ნაციონალური და უმცირესობათა პოლიტიკის წინაპირობა 30-იანი წლებიდან, რომელიც მიზნად ისახავდა როგორც ტიტულარული ერების გაძლიერებას, ასევე ეთნიკურ უმცირესობების უკეთ მოხელთებას, რომ შემდგომ უზრუნველეყოთ მათი ყოფის, ყოველდღიურობის თუ ეკონომიკურ საქმიანობის უკეთ მართვა. ამ პოლიტიკას, ერთის მხრივ, ზურგს უმაგრებდა 1932 წელს ფართოდ მხარდაჭერილი კორენიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ რესპუბლიკების დონეზე მოღვაწე კავკასიელ ბოლშევიკ რევოლუციონერთა გაძლიერება, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკის ფორმირებაში – მათ შორის, ლავრენტი ბერია, კანდიდ ჩარკვიანი, მირ ჯაფარ ბაგიროვი და გრიგორ არუთინოვი.

[6] Goff, 160.

კონფლიქტები, საზღვრები და ეთნოგენეზისი

ქართველმა ხალხმა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში, უფლება მოიპოვა წარმოადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები. [საუკუნეების განმავლობაში] ქართველებს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლიანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. [...] თურქებმა ვერ შეძლეს, რამდენადაც არ ეცადნენ, აღმოეფხვრათ მათ მიერ მოწყვეტილი სამხრეთის რაიონების ორგანული კავშირი საქართველოსთან. ამ ერთიანობას ადასტურებდნენ და ადასტურებენ ყველა ფაქტები, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება. [...] ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასდროს უთქვამს უარი და ვერც იტყვის.

სიმონ ჯანაშია და ნიკოლოზ ბერძენიშვილი
„კომუნისტი“, 1945 წლის 14 დეკემბერი, #246

მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი – მირ ჯაფარ ბაგიროვი 1930-1940-იან წლებში აზერბაიჯანის ისტორიის, ენის და ადგილობრივ ხალხთა დემოგრაფიის „წმენდას“ ეწეოდა სპარსული, არაბული და ოსმალური გავლენებისგან, რისთვისაც ხშირად ტერორს, რეპრესიებსა და მასობრივ გადასახლებებს მიმართავდა, ქართველთა და სომეხთა პოლიტიკურ სივრცეში ახლად წარმოებული ეროვნული სენტიმენტები ღვივდებოდა თურქეთსა და ირანთან დაკავშირებით საბჭოთა გეოპოლიტიკური სვლების კვალდაკვალ. ამ მანევრების უკან ტერიტორიების შემოერთების ინტერესები იდგა, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების მოსაზღვრე არასაბჭოთა ქვეყნების მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებში ითარგმნებოდა. „საბჭოთა ჯარებს არასდროს დაუკავებიათ თურქეთის ტერიტორია, თუმცა კრემლმა ერევანსა და თბილისთან ერთად წამოაყენა ეთნოისტორიული ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც ანკარას წნეხის ქვეშ აქცევდა. სომეხ და ქართველ ელიტებს ამ ძალის დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის წახალისება არც სჭირდებოდათ – ისინი ისედაც უბიძგებდნენ კრემლს ამ მიმართულებით მუშაობისკენ“[7], – წერს გოფი წიგნის მეორე თავში, რომელიც საბჭოეთის კონფლიქტების ისტორიას აცოცხლებს და მას სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში გაჩენილ სასაზღვრო ხაზების გაფართოების ინტერესებს უკავშირებს.

ავტორის თანახმად, ტერიტორიული მთლიანობის და ისტორიული მიწების რეპატრიაციის შესახებ პრეტენზიები მხოლოდ პოლიტიკურ საკითხად არ დარჩენილა და ამ დებატებმა ფართო საზოგადოებაც მალევე მოიცვა საგაზეთო სტატიების, საჯარო დისკუსიების, ახლად გამოქვეყნებული ისტორიული წიგნების გზით. ამის მაგალითია 1945 წლის 14 დეკემბრის „კომუნისტის“ 246-ე ნომერში სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. აღსანიშნსავია ისიც, რომ პრეტენზიები წარსული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ საჯარო ლეგიტიმაციას ეთნოგენეზისის თეორიებზე დაყრდნობით იძენდა, რომლის ამოცანაც ტერიტორიული მთლიანობის ისტორიზება და „უკან დაბრუნების“ შესახებ დისკურსის გაძლიერება იყო.

წიგნის სხვადასხვა თავში ფართოდ არის მიმოხილული ეთნოგენეზისის კვლევითი მიმართულების ფენომენი, რომელიც სტალინის მიერ ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკებად დაყოფის პარალელურად წარმოიშვა და საბჭოთა კავშირის ექსკლუზივი იყო. ეთნოგენეზისის თეორია ამა თუ იმ ეთნოსის წარმოშობის

[7] Goff, 75.

პრეისტორიულ გარემოებებს შეისწავლიდა და ამ ეთნოსების გეოგრაფიულ თუ ტერიტორიულ წარმომავლობას ადგენდა. საბჭოთა კავშირში ეთნოგენეზისის კვლევები ორმაგ მიზანს ემსახურებოდა – ის, ერთი მხრივ, ადგენდა, თუ ვინ იყო ამა თუ იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს შორის მკვიდრი მოსახლეობა და ვინ – უცხო, ხოლო მეორე მხრივ, მკვიდრი მოსახლეობის ავტოქტონურობაზე ხაზგასმით უზრუნველყოფდა მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე კონტროლის გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ტიტულარული რესპუბლიკების გაძლიერებასაც ემსახურებოდა.

ხალხების წარმოშობისა და მათი უძველესი მიწების შესახებ კვაზისამეცნიერო ძიებამ სხვადასხვა გვერდითი მოვლენები გამოიწვია საბჭოთა კავკასიაში. როგორც გოფი წერს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გამარჯვების პათოსმა, რომელიც კავკასიის რესპუბლიკებსაც მოედო და მათში ნაციონალისტური „მადა“ გააღვივა, არა მხოლოდ მოსაზღვრე არასაბჭოთა ქვეყნებთან გაზარდა კონფლიქტური ფონი, არამედ შიდა რესპუბლიკურ დონეზეც გააღვივა ეთნო-შოვინისტური სენტიმენტები და ურთიერთშუღლი. მაგალითისთვის, 1940-იან წლებში კანდიდ ჩარკვიანმა წამოაყენა საკითხი აზერბაიჯანის შემადგენლობაში არსებული ისეთი მიწების საქართველოს ფარგლებში „დაბრუნებაზე“, სადაც მასობრივად იყვნენ დასახლებული ინგილო ქართველები და მათ მიწას საინგილოდ მოიხსენიებდნენ. ამ საკითხის დაყენებამ, გოფის თანახმად, ჯაჭვური ეფექტი გამოიწვია ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც. აზერბაიჯანმა, საპირწონედ, ხმა აიმაღლა ირანის ტერიტორიების „ისტორიულ წიაღში“ დაბრუნებაზე, ხოლო სომხეთმა ყარაბაღის საბოლოო შემოერთებაზე. 1945 წელს კრემლში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, როგორც მისი დამსწრე იხსენებს, ბერიამ და მიქოიანმა ბაგიროვი დააიმედეს, რომ საბჭოთა აზერბაიჯანის და ირანული აზერბაიჯანის გაერთიანება უახლოესი პერიოდის ამბავი იყო, და შემდეგ ხუმრობით დაამატეს, მზად იყო თუ არა ამის შემდეგ აზერბაიჯანი, საბოლოოდ დაეთმო ყარაბაღისა და საინგილოს ტერიტორიები სომხეთისთვის და საქართველოსთვის.[8]

სტალინისტური და ომის შემდგომი ნაციონალური პოლიტიკა საბჭოთა კავკასიაში მეტწილად გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ და გამარჯვების ეთოსმა განსაზღვრა. წიგნში მოხმობილი ფაქტები და ისტორიები ცხადყოფს, რომ ამ პერიოდში ჩაბუდებულმა ნაციონალისტურმა ინტერესებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ისეთი „ეროვნული“ მისწრაფებები, როგორიც იყო ტერიტორიული გაფართოებისკენ სწრაფვა, ქვეყნების ნაციონალური ჰომოგენიზაციის პოლიტიკა და ეთნიკურ უმცირესობათა საკითხის უგულებელყოფა სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან.

ბოლოს კი, გოფის მიერ წიგნში აღწერილი სტალინისტური ნაციონალობათა წარმოების მრავალშრიანი პროცესები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მისი მიდგომა სცდება 1990-იანი წლებიდან დამკვიდრებულ კონსტრუქტივიზმს, რომელიც საბჭოთა კავშირს არათუ ნაციონალობების წამშლელად, არამედ მის მდგენელად განიხილავს. როგორც გოფი განმარტავს, საბჭოთა ნაციონალობების შესწავლის ეს მიდგომა შემოფარგლულია იმდენად, რამდენადაც ის საარქივო დაწესებულებებში არსებულ მასალებსა და საბჭოთა ბიუროკრატიულ თუ ინსტიტუციურ წიაღში შემორჩენილ მონაცემებზე დაყრდნობით აღადგენს ამ ისტორიას. ამის მაგივრად, გოფისმიერი ისტორიული რეკონსტრუქცია, საარქივო მასალებთან ერთად, ივსება იმ ხალხთა ზეპირი ისტორიებით, პირადი ცხოვრების შესახებ მონათხრობებით და მოგონებებით, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის მიღმა რჩებოდნენ და ხშირად მათი გამოცდილება წარსულის მდგენელადაც არ განიხილებოდა.

[8] Goff, 82.

დესტალინიზაცია და (არ)აღიარების პოლიტიკა

კლერ კაიზერის თანახმად, სტალინისტური მმართველობისას, მხოლოდ საქართველოდან 130 ათასამდე ადამიანის – მათ შორის, ქურთების, მესხი თურქების, ხემშილების გადასახლება მოხდა ცენტრალური აზიის ქვეყნებში, რაც მთლიანი საბჭოთა კავშირის დეპორტაციების 14%-ს შეადგენდა.[9] საბჭოთა კავშირში მასობრივი გადასახლებების პოლიტიკა განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა – გადასახლებების დროს ადგილი ჰქონდა ადამიანთა მაღალ სიკვდილიანობას, მათ უმძიმეს პირობებში უწევდათ ასახლება და გზაში ყოფნა, ხოლო მათი ახალი საცხოვრებელი ადგილი უმეტესად ინფრასტრუქტურულად გაუმართავი და საცხოვრებლად შეუსაბამო იყო. პოსტსტალინისტურმა ეპოქამ, რაც სტალინის კულტის დაგმობას და მისი პოლიტიკური გადაცდომების მხილებას მოჰყვა, მეტი თავისუფლება მოიტანა ელიტებისთვის და რიგითი საბჭოთა მოქალაქეებისთვის, ყოველდღიურობაში სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის მხრივ.[10] აღნიშნულ პერიოდში ასევე გაიზარდა ტიტულარულ ნაციონალობათა რბოლა მეტი ძალაუფლებისთვის და აღიარებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, კიდევ უფრო მრავალმხრივი გახადა არატიტულარული ხალხების შევიწროების და მათი უფლებების არაღიარების პოლიტიკა. თუკი რეპრესიები და ტერორი წარსულად გამოცხადდა, ის დისკურსებისა და ნარატივების ომმა ჩაანაცვლა. ტიტულარული რესპუბლიკები, მეტი კონსოლიდაციის და ეროვნული ინტერესების დაცვის მოტივით, საჯარო ველებიდან აქრობდნენ უმცირესობათა ჯგუფების ნაკვალევს, რაც ხან ხალხთა ასიმილაციად, ხან კიდევ ხალხთა დაახლოებად საღდებოდა. ამ პოლიტიკის წარმოების ძირითად ინსტრუმენტებს კი მოსახლეობის საყოველთაო აღწერები, ალტერნატიული დემოგრაფიული რუკების შედგენა, საჯარო ცოდნის წყაროებზე კონტროლი წარმოადგენდა. ასევე დიდი იყო სამეცნიერო და აკადემიური სფეროს როლიც, რომელიც წინასწარ განსაზღვრული თეორიული ჩარჩოებით ოპერირებდა და მკაცრ შინაარსობრივ ცენზურას გადიოდა.

ეთნიკურ უმცირესობათა ნაკვალევის წაშლის საილუსტრაციოდ, კრისტა გოფს აზერბაიჯანში მცხოვრები თალიშების მაგალითი მოჰყავს, რომლებიც 1939 წლის აღწერის შემდეგ, 1956 წლის აღწერიდან სრულებით გაქრნენ და აღარ ირიცხებოდნენ, როგორც ცალკეული ეთნიკური ჯგუფი (1939 წლისთვის მათი საერთო რაოდენობა 85 ათას ადამიანს შეადგენდა). ამასთან, ისინი არც უცხოეთის მოქალაქეთა კატეგორიაში ხვდებოდნენ და არც დიასპორულ ჯგუფებს შორის. სახელმწიფო ინსტიტუციები ამ გაქრობას თალიშთა ჯგუფის აზერბაიჯანელებთან ასიმილაციით ხსნიდნენ. თალიშთა „ნებაყოფლობითი და ბუნებრივი“ ასიმილაციის შესახებ შექმნილი ეს დისკურსი მალე დომინანტური გახდა მთელ საბჭოთა კავშირში, და მისი ინტერნალიზება სხვა უმცირესობათა ჯგუფებმაც დაიწყეს, როგორც სოციალისტურ პროგრესში მონაწილეობის ერთადერთი გზისა და საშუალების.

წიგნის მეოთხე თავში, სადაც თალიშებთან ერთად ასევე ინგილო ქართველების, ლეკების, ქურთების და სხვა მომიჯნავე ეთნიკური ჯგუფების შემთხვევებია განხილული, სიღრმისეულადაა აღწერილი იმ პოლიტიკის სისტემურობა, რომლიც სტრუქტურულ დონეზე ეწეოდა ხალხთა ეთნო-კულტურულ განსხვავებათა წაშლას და ნაციონალისტური კონსოლიდაციის ფორსირებას ინსტიტუციების თუ საჯარო აქტორების მონაწილეობით. საბჭოთა ეთნოგრაფები, გეოგრაფები, ისტორიკოსები თუ სხვა სფეროს წარმომადგენლები ქმნიდნენ ნაშრომებს იმაზე, თუ რამდენად მსგავსი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები მცირე ეთნიკური ჯგუფების კულტურული და ყოველდღიური ყოფა, და რამდენად იყო ის დაკავშირებული კომუნისტურ იდეებთან. ამ პერიოდის საბჭოთა აკადემიური ნაშრომები

---

[9] Goff, 84.

[10] Goff, 94–105.

გაჯერებული იყო ნაციონალობათა დაახლოების (сближение) და ნაციონალობათა შერევის (слияние) ცნებებით. ეს მიდგომები კი შემდეგ დარგობრივ მეცნიერებებზეც ვრცელდებოდა და კიდევ უფრო ფართო მასშტაბს იძენდა.

რაც შეეხება სამთავრობო დონეზე ხელდასმულ ასიმილაციის პოლიტიკას, აქ მთავარ ინსტრუმენტს ადმინისტრაციული შეზღუდვები წარმოადგენდა. არასასურველად მონიშნულ ეთნიკურ უმცირესობებს არ ეძლეოდათ საშუალება, განათლება მიეღოთ მშობლიურ ენაზე, რადგან არ ფინანსდებოდა უმცირესობათა სკოლები, საყოველთაო აღწერებიდან ამოშლილი მათი ეთნიკური კატეგორიის გამო, მათ არ ეძლეოდათ შესაბამისი ნაციონალობის აღმნიშვნელი პასპორტები. უფრო მეტიც, თუ ტიტულარულ ნაციონალობათა ეროვნული ტანისამოსი მრავალფეროვნებისა და თანასწორობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, არატიტულარულ ჯგუფთა ეროვნული ტანისამოსი ჩამორჩენილობისა და არაცივილიზებულობის ნიშანი იყო, და ამ ტანსაცმლით შემოსილ ადამიანებს უჭირდათ სამსახურის პოვნა, საჯარო სივრცეებში ინტეგრირება.

თალიშელი ქალი ტრადიციულ ტანისამოსში, ფოტო წიგნიდან

თალიშთა ისტორიული გამოცდილების გაცოცხლებით, გოფი აჩვენებს იმ ასპექტების სიმრავლეს, რომლის გამოყენებითაც პოსტსტალინისტურ საბჭოთა კავშირში მცირე ნაციონალობათა უფლებების (არ)აღიარება ფორმდებოდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც 1956 წლის აღწერიდან სრულებით გაქრა თალიშთა ნაკვალევი, ამ გაქრობის ასახსნელად საქმეში ჩაერთვნენ ეთნოგრაფები და ისტორიკოსები, რათა წლების განმავლობაში მიმდინარე თალიშთა „ბუნებრივი და ნებაყოფლობითი“ ასიმილაციის ეთნოისტორიული საფუძვლები აღეწერათ და გაემართლებინათ. ამის პარალელურად, 1960-იან წლებში შეიქმნა პროგრესული თალიშის სუბიექტურობის ფორმები, რომლის მიხედვითაც თანამედროვე თალიშები შემოსილნი იყვნენ მოდური საბჭოური ტანისამოსით, სრულყოფილად ფლობდნენ აზერბაიჯანულ ენას და განათლებაც ამ ენაზე ჰქონდათ

მიღებული. ამ ახალ სუბიექტურობას ძალიან ცოტა რამ ჰქონდა თალიშური წარმომავლობის, თუმცა, მეორე მხრივ, კარგად გაეთავისებინა სოციალისტური პროგრესის სახასიათო კულტურული ფორმები.[11]

საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის უმცირესობათა პოლიტიკა უნიკალური იყო იმდენად, რამდენადაც აქ აქცენტი უმეტესად ასიმილირების პროცესის ბუნებრიობასა და გარდუვალობაზე კეთდებოდა. სხვადასხვა წყარო ცხადყოფს, რომ საბჭოთა ინსტიტუციებისა და პოლიტიკური კლასისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო, ხალხთა დაახლოების პროცესი არ გამოჩენილიყო ზევიდან მართულ, ძალდატანებით პოლიტიკად, არამედ – სოციალისტური მოდერნულობის თავისთავად შედეგად, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობის პირობებში, ბუნებრივად წაშლიდა კულტურულ, ეროვნულ თუ ეთნოისტორიულ განსხვავებებს ხალხთა შორის.

ეპილოგი

საბჭოთა პერიოდში წარმოებული მითები ხალხთა დაახლოების, ეთნიკური მიკუთვნებულობის გაქრობის თუ მოსაზღვრე ქვეყნებთან ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ასევე მტკივნეულ საკითხად რჩება საბჭოთა კავშირში წარმოებული ეთნოგენეზისისა და ერთა ავტოქტონურობის შესახებ შექმნილი მითების ეჭვქვეშ დაყენება და გადააზრება. ამიტომაც, თანამედროვე სამხრეთ კავკასია და მისი შემადგენელი დამოუკიდებელი ქვეყნების საჯარო თუ პოლიტიკური ველები დღემდე გაჯერებულია ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენებით ისტორიული პროცესების თუ ძალაუფლების გადანაწილების შესახებ. კრისტა გოფის წიგნი, ამ მტკივნეულ და წინააღმდეგობებით სავსე წარსულის კარზე აკაკუნებს და მის შეღებას ცდილობს. წიგნში ის საინტერესოდ რეფლექსირებს საკუთარ გამოცდილებასა და იმ ბარიერებზე, რომელსაც კვლევის და მუშაობის პროცესში წააწყდა. ერთი მხრივ, ავტორის პირადი გამოცდილება და, მეორე მხრივ, წიგნში აღწერილი ისტორიები მთლიანობაში აშიშვლებს იმ ჩაკეტილ და წარსულის დავიწყებაზე ორიენტირებულ გარემოს, რომლის მოხელთებასაც წიგნი ცდილობს.

აქვე აღსანიშნავია წიგნის სუსტი მხარეებიც, რომელიც ზოგჯერ ავტორის მხრიდან განზოგადების მცდელობით, ზოგჯერ წყაროების ნაკლებობით, ზოგჯერ კი ზეპირი მონათხრობების სუბიექტური ხასიათით აიხსნება. ამის ერთ-ერთი მაგალითია წიგნის ის ნაწილი, სადაც კრისტა გოფი ქართველი აჭარლებისა და თალიშების გამოცდილებას შორის პარალელს ავლებს და მათ ეთნოისტორიულ მსგავსებაზე საუბრობს. წიგნის კიდევ ერთი სისუსტეა ის, რომ ბუნდოვანი რჩება, რა როლს თამაშობდა რელიგიური მიკუთვნებულობა და, ზოგადად, რელიგიურობის შრე უმცირესობათა დაწინაურება-ჩამოქვეითების საბჭოთა პოლიტიკაში. როგორ იცვლებოდა სხვადასხვა რელიგიური მიკუთვნებულობის მქონე ნაცმენების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა საბჭოთა მმართველობის სხვადასხვა პერიოდში? როგორ განსხვავდებოდა მუსლიმ და ქრისტიან ხალხთა გამოცდილებები და მათი უფლებრივი მდგომარეობა? ეს კითხვები წიგნში ღიად რჩება. კიდევ ერთი საკითხი, რასაც გოფი ღიად ტოვებს, გადასახლებულ ხალხთა გამოცდილებებია და მათი სპეციფიკა სხვა არატიტულარული ეთნიკური ჯგუფების გამოცდილებებთან შედარებით.

წიგნში კრიტიკული ადგილების მიუხედავად, მისი წაკითხვა ღრმა ისტორიულ, თეორიულ და არსობრივ ბაზისს იძლევა ნაციონალობების, უმცირესობების და დაკარგული ისტორიების საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. საბჭოთა პერიოდის ის გააზრება,

[11] Goff, 155–66.

რომელსაც ავტორი გვთავაზობს, საინტერესოა იმითაც, რომ პროცესების ზევიდან ქვევით წაკითხვის ნაცვლად, ის ბევრად უფრო რთულ, სოციალურად ჩახლართულ და ქსელურად განფენილ პოლიტიკურ ლანდშაფტს ხატავს, რომელიც არათუ მონოლითური, ცალსახა და ადამიანური აგენტობისგან დაცლილია, არამედ პირიქით – წინააღმდეგობებით სავსე, შემთხვევითი და ისტორიული აქტორების პირადი ინტერესებით ნასაზრდოები.

წიგნის წაკითხვის შემდეგ უფრო გასაგები ხდება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების – საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის – ისტორიული საფუძველი და დღევანდელობაში მიმდინარე კონფლიქტების მასაზრდოებელი წინაპირობები. გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ გადაიქცა სამხრეთი კავკასია ეთნიკური დაპირისპირებების ფრონტად მას შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემა მოიშალა. წლების განმავლობაში დაგროვილი ეთნიკური შუღლის, ტერორისა და საწუხარის დაგუბების სივრცეში, საბოლოო ჯამში, აღარ დარჩა ადგილი ჯანსაღი დებატებისთვის, კრიტიკული კითხვების დასმისა და წარსულისთვის თვალის გასწორებისთვის, რაც აუცილებელია მომავალი კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად და ხელშესახები მშვიდობის კულტივირებისთვის.